№ 64 მარტი 24, პარასკევი 1889 მარტი 24, პარასკევი № 64

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ოთხი კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ამ მოკლე ხანებში გამოვა ახალი რუსული წიგნი, შედგენილი ბ-ნ ყდენტის მიერ:

„ნიმუშად გაკეთებულნი ამოცანანი მათემატიკისანი“

ალგებრისა, ელემენტარულის და ანალიტიკურის გეომეტრიისა, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის წესით გაკეთებულნი ამოცანანი გეომეტრიისა და არითმეტიკისანი.

ფასი ორი მანეთი.

სათავად-აზნაურო სკოლაში ნასწავლ უმაწვილებს შეუძლიანთ უფასოდ მიიღონ ეს წიგნი ავტორისაგან, ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 88, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

წიგნის მაღაზიებში ისყიდება იმავე ავტორის „მპარტომობისხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“, ფასი 25 კაპ.

აგრეთვე ისყიდება ბ-ნ ყდენტისავე „კონსპექტი შუა საუკუნეთა ისტორიისა“, ფასი 50 კაპ. (3—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 25 მარტს

„წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ

გამართული იქნება

სალიტერატურო და სამუსიკო

საღამო

ოთხს განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვისა, ი. გ. ჭავჭავაძე, დ. გ. ერისთავი, ნ. დ. ერისთავი, ვ. გ. მაჩაბელი, გ. ი. ვოლსკი, კ. ს. მესხი, ვ. ა. აბაშიძე, მ. ა. ბალანჩივაძე, ბ-ნ ალნიაშვილის ხორო და სხვ.

აგრეთვე მოწვეულნი არიან სამღერლად თავადი ციციშვილები.

დასასრულ იქნება

ცხოველი სურათები სიმღერით.

სურათებს დასდგამს ბ-ნი ბაშინჯაგიანი.

დასაწყისი 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

კვირას, 2 აპრილს

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები: ა) გასულ სეზონის ანგარიშის განხილვა; ბ) ახალის მმართველობის არჩევა და გ) საზოგადოების ახალის წევრების არჩევა.

სხდომა დაიწყება დილის 11 საათზე.

ტფილისი, 23 მარტი

უკანასკნელმა დეპეშამ მეტად საყურადღებო ამბავი გვაცნობა საფრანგეთის საქმეთა შესახებ. ბულანჟე, რომელმაც ეგოდენი ლაპარაკი და შფოთი ასტეხა, პარიჟიდგან გაქცეულა ბელგიაში და იქიდგან მუქარას უთვლის რესპუბლიკას. რამ აიძულა ბულანჟე ეს საქმე ჩაედინა და მალულად დაეტოვებინა სამშობლო, რომელსაც, თავის აზრით, თავისუფლებასა და ეგოდენს ბედნიერებას უქადიდა? საქმე ის არის, რომ რესპუბლიკამ ეჭვი აიღო ბულანჟეზე და ამიტომ განზრახვა ჰქონდა შეეპყრო ეს მოუსვენარი კაცი. ამ განზრახვის თავი და თავი მიზეზი ის იყო, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგე დასები ბულანჟეს მოთავეობით რაღაცა ხიფათს უმზადებდნენ რესპუბლიკის წეს-წყობილებას. მართებლობას აზრად ისიც მოუვიდა, რომ შესაძლოა ეს დასები და ბულანჟე შეთქმულნი არიან რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ და სცდილობენ რესპუბლიკა პირ-ქვე დაამხონ.

ეს ეჭვი უსაბუთო არ არის. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მართებლობა უსაბუთოდ ჰმოქმედებდა და ტყუილ-უბრალოდ ებრძოდა ბულანჟესა და იმისს მომხრეებს. მართებლობა არც პატრიოტთა ლიგის წინააღმდეგ დაიწყებდა გამოძიებას, თუ რომ ხელში საბუთი რამ არა ჰქონოდა. რამდენი ხანია, რაც ბულანჟე, იმისი მომხრეები და რესპუბლიკის მოწინააღმდეგე დასები ჰშფოთავენ საფრანგეთში და მართებლობას არ ასვენებენ, მაგრამ დღემდე მართებლობა მათ საწინააღმდეგოდ ძალას არა ჰხმარობდა და თუ დღეს ძალას მიჰმართა, ალბად საბუთიცა ჰქონდა. უეჭველია, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგე დასებს აზრად აქვთ რესპუბლიკა პირ-ქვე დაამხონ და იმათს ცბიერს სიტყვას რესპუბლიკა ვერას დროს ვერ ერწმუნება. ბულანჟეც ისეთი კაცი გამოდგა, რომელიც მათ მოსარჩლეობას არა თაკილობდა და რესპუბლიკის მტერთ ხელს უწვდიდა.

რა თქმა უნდა, რომ ყველა ამ გარემოებამ აიძულა მართებლობა უფრო სასტიკად და თამამად მოჰკიდებოდა ბულანჟესა და იმისს მოსარჩლეებს. ამიტომაც, როგორც იწერებოდნენ, მართებლობას აზრად ჰქონდა სამართალში მიეცა ბულანჟე და თუ პალატა ამაზე დასთანხმდებოდა, მაშინ ბულანჟე უნდა შეეპყრათ.

როგორ მიეგება ამ ამბავს ბულანჟე და რა ღონე იღონა თავის გასამართლებლად? ბულანჟემ არც აცივა და არც აცხელა და საფრანგეთიდგან ბელგიაში გადაიხვეწა. მართებლობას შეუძლიან ეს გარემოებაც ხელზე დაიხვიოს და ბულანჟეს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. მართლაც, სამართალს რად გაექცა გამბედავი გენერალი, თუ გამართლების იმედი ჰქონდა და კანონს არ უფრთხოდა? საფრანგეთის კანონ-მდებლობა იმდენად ბარბაროსული არ არის, რომ მართალი კაცი დასაჯოს და გათელოს. ბულანჟე რომ გულწრფელი, რესპუბლიკის ერთგული კაცი იყოს, კანონსა და სამართალს პირისპირ დაუდგებოდა და უეჭველია თავსაც გაიმართლებდა. შფოთისა და გაჭირების დროს არც ერთი თავდადებული და გულმართალი მამულიშვილი არ გადაიხვეწება სამშობლოდგან, თუ თავისი საქმე სამართლიან საქმედ მიაჩნია. ბულანჟეს რომ თავისი სიმართლე საქვეყნოდ დაემტკიცებინა, მაშინ ხომ ბურთი და მოედანი იმასვე დარჩებოდა. მაგრამ ბულან-

# ფელეტონი

## გიორგი ბრწყინვალე

### მეფე საქართველოსა

### VII*)

სამწუხაროდ, მეფის ცხოვრების აღსაწერად ცოტა მასალა-ღა დარჩა. ისტორიასა და ჩვენს ბედს თითქო დაცინვა ჰსურდაო,—მატიანეში შენახულია არა ერთისა და ორის ქონდრის კაცისა და კაცუნა მეფის ცხოვრება, და გიორგი მეხუთისა-კი არა!.. მისი ცხოვრება სადღაც დაიკარგა. მხოლოდ ვახუშტმა აქა-იქ დიდის შრომით შეჰკრიბა ცნობანი და გადმოგვცა მეფის ცხოვრება, ისიც მცირედ, მოკლედ[33]). ამ ცნობებს „შემატება“ ეწოდება და, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, მატიანეშია ჩართული. საკუთრად „ქართლის ცხოვრებაში“ გიორგი მეხუთეზედ თითო-ოროლა ცნობა თუ მოიპოვება და ისიც არეულ-დარეული, ბნელად მოხსენებული, როგორც ამას თვით ვახუშტიც ამბობს მაგრამ რაც-კი დაგვრჩა, ისიც საკმაოდ გვიხატავს ბრწყინვალე მეფის დიადს სურათს.

რჩეულსა და ზეგარდამო ნიჭით ცხებულს კაცს მშობლები შესაფერნი ჰყავს ხოლმე. გიორგი მეხუთეც სახელოვანის მამის შვილი იყო. იმისი მამა დიმიტრი II თავდადებული ცნობილია ჩვენს ისტორიაში როგორც ერთი საუკეთესო მეფეთაგანი. მაგრამ ბევრ კარგ ღირსებასთან დიმიტრი თავდადებულს ერთი წუნიც ედო, ერთი ნაკლიცა ჰქონდა: ყმაწვილობისას მშვენიერი სქესი გადაჭარბებით უყვარდა... თუმცა საქართველოში ქალის სიტურფე და სილამაზე უნებლიედ იმონავებს კაცის გულს, მაგრამ მეფეს მაინც ცოდვად სდებდნენ მექალთანობას. ეს ჩვენთვის სულ ერთია, აქ საყურადღებო უფრო ისაა, რომ დიმიტრი თავდადებულს თითქო ჩამომავლობით ნაანდერძევი ჰქონდა არშიყობა და სიძვაო... მაგალითებრ, არც თავდადებულის მამა, მეფე დავით V, იყო „წმინდა წყლის“ კაცი, არც იგი არიდებდა პირს კეკლუცსა და ნარნარს სატრფოს. იმან რამდენჯერმე შეირთო ცოლი და როცა კანონიერ მეუღლესთან შვილი არ მიეცა, ოსის ქალი ალთუნი მოიყვანა—შვილი მომეცესო. შვილი ეყოლა, მაგრამ ალთუნი-კი სასახლედამ დაითხოვეს. დიმიტრის პაპა, ლაშა გიორგი, ხომ განთქმულია სიძვით. ვინ არ იცის, რომ ქვეყნიურს ცოდვას იმან ვაჟკაცობაც მსხვერპლად შესწირა,—მოგეხსენებათ, რომ სწორედ ქალის გულისათვის გამოსთხარეს ლაშას თვალი... რაც უნდა იყოს, აქ მხოლოდ ის უნდა შევნიშნოთ, რომ დიმიტრი თავდადებულიც მამა-პაპის კვალზედ წავიდა და ერთსა და იმავე დროს სამი ცოლი დაისვა. არ ვიცით სახელად რა ერქვა პირველს, კანონიერს ცოლს, თუმცა-კი სჩანს, რომ იგი საბერძნეთის მეფის ასული იყო[34]). მხოლოდ ამ კანონიერს ცოლს ეწოდებოდა დედოფალი. დიდის კომნენის ასულმა მეფე უხვად დაასაჩუქრა,—დედოფალს ოთხი ვაჟი მიეცა: დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოელ. ამ ოთხს ძმას ერთი დაც ჰყვანდათ—რუსუდანი. რასაკვირველია, ამდენი შვილი სრულიად საკმარი იყო როგორც გვირგვინოსანის მამისათვის, ისე სამეფო ტახტისათვისაც, მაგრამ მეფემ არ იკმარა და მეორე ცოლად ვიღაც თათრის ქალი მოიყვანა, სახელად სორღალა. ცნობა არ დარჩენილა—ვინ იყო ეს სორღალა, მხოლოდ ის-კი სჩანს, რომ იმას ორი ვაჟიშვილი ეყოლა: ბაადურ და იადგარ და ერთი ქალი—ჯიგდახათუნ. არც ბაადურსა და არც იადგარს ტახტზედ ასვლა არ ჰღირსებია; იმათი მოქმედებაც თითქო დაჩრდილულიაო, თვით იგინი თითქო ფარულად სცხოვრებენო და მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებით ამ ორს ძმასა და ისიც მეტად იშვიათად... სულ სხვა ბედისა და იღბლისა იყო მესამე ცოლი, სახელ-განთქმულის სამცხის სპასალარის ბექას ასული, ნათელა. ქართველთა დედათა შორის ნათელას მართლაც-და ციური ნათელი დაედგა — ამ ნათელამ უშობა დიმიტრი თავდადებულს გიორგი... „რომელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტო რქა“...

როცა დიმიტრი თავ-დადებული იძულებული შეიქმნა არღუნ ყაენს ჰხლებოდა ურდოში, მეფეს თითქო გულმა უგრძნო—ცოცხალი აღარ დავბრუნდებიო და ამიტომ საჭირო განკარგულება მოახდინა ოჯახში, თითოეულს ცოლ-შვილს საზრდო და საყოფელი დაუნიშნა. ზოგნი კახეთს გაგზავნა საცხოვრებლად და ზოგნი კიდევ მთიულეთს შეაფარა. ხოლო ყრმა გიორგი ტაოს წარაელინა, იშხნის ციხეში. ვინ იცის, იქნება ქვეყნისათვის თავდადებული მამა წინადვე ატყობდა რა მომავალიც მოელოდა იმის ნორჩს შვილს და ამიტომაც ასე უფრთხილდებოდა... როგორც თქვენც გეცოდინებათ, არღუნ ყაენმა დიმიტრის შესწამა ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაში ერიეო და ურდოში მისვლის უმალვე მოაკვლევინა. განრისხებული ყაენი მეფის გვამსაც-კი არ იძლეოდა, მაგრამ მცველნი მოისყიდეს და დიდის გაჭირებით ეს გვამი მეთევზეების ურმით ჩუმად მოასვენეს საქართველოში და მცხეთას დაასაფლავეს. სიკვდილმა თავ-ზარი დასცა მეფის სასახლეს, მთელი მისი სახლობა შიშსა და ელდას მიეცა. შეიტყვეს თუ არა საშინელი ამბავი, წამებულის მეფის ცოლ-შვილი აქეთ-იქით გაიბნა,—დედოფალი სკორეთს დაიმალა, სორღალამ თავისის შვილებით სამშობლოში გასწია. რასაკვირველია, ნათელასაც სიფრთხილე ჰმართებდა და ისიც სამცხეს წავიდა მამასთან. მეფის სრა-სასახლე დაცალიერდა და თვით სამეფოც ცოტა ხნობით უმეფოდ დარჩა... ამ დროიდგან გიორგი პაპას სახლში იმყოფებოდა და თითონ ბექამ აღზარდა ეს ბედნიერი ყრმა[35]). დიდხანს აღარა ისმის რა ყრმისა, პაპის სახლის გარედ მას ველარ ვხედავთ და, სამწუხაროდ, არ ვიცით რა ყოფასა და მდგომარეობაში გაატარა მან პირველი სიყრმე...

აგრეთვე არაა მოხსენებული, თუ როგორ აღიზარდა მეფე გიორგი V, თუმცა-კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფეს დროს შესაფერად საუკეთესო აღზრდა უნდა მიეღო. ამ აზრს ჩვენ ბექას ცხოვრებასა და ხასიათზედ ვაფუძნებთ. ბექა, მანდატურთ-უხუცესად ცნობილი, იმ დროს ძრიელ გავლენიანი და შესანიშნავი კაცი იყო. მისი სამთავრო დიდს ადგილს შეიცავდა, ტასის კარიდგან სპერამდე (ჭოროხის ხეობა) და ზღვამდე, აღმოსავლეთით კარნუ ქალაქამდე (არზრუმი). როცა საბერძნეთის მეფემ ალექსი II ბექას ასული შეირთო, მაშინ სიძემ თავისს სიმამრს მოსცა მთელის ტრაპიზონის აქეთ მხარე ჭანეთითურთ[36]). ციხის ჯვარელ ჯაყელნი—ეს იყო სამცხის მთავართა გვარი—სულ პირველადვე განთქმულნი იყვნენ მხნეობითა და გამჭრიახობით. მონგოლების დროს ხომ უფრო მეტად ისახელეს თავი და საქართველოში პატივიც დიდი მოიხვეჭეს. ბექას მამა, სარგის ჯაყელი, თავის დროს პირველ სარდლად ითვლებოდა, მთელს სამეფოსა და საყეენოში გაითქვა ვაჟკაცობითა და სამხედრო ნიჭიერებით, ყაენის სიყვა-

*) იხ. „ივერია“, №№ 62, 63.

33) ...„რაიცა ძალ გვედვას, მცირედ გიტყოდეთ“... ასე იწყებს ვახუშტი თავისს „შემატებას“, თითქო ვინმე დაემდურებოდა, რომ გრძლად ვამბნა მეფის ცხოვრება!..

34) უფრო მეფის კირ გიორგი დიდის კომნენისა, H. de la G. p. 591, n[1].

35) ქ.-ც-ბა, გვ. 426, 445.

36) H. de la G. II par, liv. I, p. 205.

ქემ პირუთვნელს სამართალს გაქცევა არჩია. მართალია, ბულანჟეს ბევრი სათაკილო რამ მიუძღვის სამშობლოსა და თავისის თავის წინაშე, მაგრამ დღემდე გაქცევაზე უფრო სათაკილო არა ჩაუდენია-რა. ამ საქციელით ბულანჟემ სახელი გაუტეხა თავისს საქმესაცა და თავისს მომხრეებსაც.

ა. ს—ი

# ახალი ამბავი

*** ჩვენ დეპეშით გვაუწყებენ პეტერბურგიდგან 23 მარტს, რომ მთავარ-მართებელი თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი გუშინ საღამოს მოვიდა თავისის მამულიდამ და ეხლა აქ არის. მისი ბრწყინვალება აქედგან მოსკოვს წავა და იქიდგან კიდევ ტფილისისკენ გამოემგზავრება.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რკინის გზაზე ტფილისსა და რიონს შუა საფოსტო ვაგონიდგან, როცა მატარებელი ბათუმიდგან ბაქოს მიდიოდა, საფოსტო აბგა დაკარგულა. ამ აბგაში ფულიც ყოფილა და უბრალო წერილებიც. ეს ამბავი ფოსტის მოხელეებს მხოლოდ ტფილისში შეუტყვიათ ამ თთვის 22 ბეერი, უმეცადინიათ, სადგურების უფროსებისათვისაც უცნობებიათ დეპეშით, მაგრამ ვერაფერს გამხდარან, აბგა ჯერ ვერ უპოვნიათ. დაკარგვის მიზეზი ის არის, რომ ვაგონის კარები კარგად არ იკეტება თურმე. ფოსტის მოხელეებს დიდი ხანია შეუნიშნავთ, რომ კარები ცუდად იკეტებოდა და ამიტომ არა ერთხელ მიუმართავთ რკინის გზის მთავრობისათვის, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა.

*** ამ წლისა თუ წლისა და ნახევრის წინ ტფილისში გაკოტრდა ვაჭარი გ. გ. მირზახანოვი. მოვალეებმა მირზახანოვი სამართალში მისცეს. ეხლა აღმოჩნდა, რომ მირზახანოვის გაკოტრება განზრახვით არა ყოფილა, გაკოტრების მიზეზი ისა ყოფილა, რომ საქმეს უბუღალტეროდ აწარმოებდა და ბევრსაც ატყუებდნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ მირზახანოვი განზრახ არ გაკოტრებულაო, და ამიტომ სრულიად გაამართლა იგი. მოვალეებმა ეს საქმე პალატაში გადაიტანეს და პალატამაც ამ თთვის 18-ს დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** ჩვენის ქალაქის გამგეობა ვერ იქნა, ოხტში ვერ მოუვიდა ჩვენს თვით-ნება ყასბებს, რომელნიც რაც უნდათ, იმას სჩადიან. ცხვრის ხორცი, მაგალითებრ, ორის კაპეიკით უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ქალაქის გამგეობის მიერ ნაჩვენებ ნიხრშია გირვანქა; ძროხის ხორცზე ერთის კაპეიკით მაინც მეტს იღებენ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ. მეთვალყურე, ქალაქის გამგეობის მიერ დაყენებული, ვერაფერს აგვარებს, რადგან სულ თავზედ ვერ ადგება, მთელს დღეს იმათთვის ვერ იცლის. აი ეხლა კიდევ შევიტყეთ, რომ, რადგან ცხვარი ძნელი საშოვნელია, ყასბებს ციკნები ჩამოურეკიათ, ჰხოცავენ და ცხვრის ხორცის მაგიერად ჰყიდიან, ერთი-ორად იგებენ ფულს. ნუ თუ ამ ყასბების ასეთს თავ-გასულობას არავითარიმე წამალი და გზა შველისა არა აქვს?

*** მზრუნველი სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისა, ბ-ნი ი. წინამძღვარიშვილი, აცხადებს შემდეგს: სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში მიიღებიან მასწავლებლად თავადთა და აზნაურთა შვილები საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილიდგან: კახეთიდგან, ქართლიდგან, იმერეთიდგან და გურიიდგან.

ამ მოსწავლეთათვის სკოლის მართებლობამ სკოლის ფულით ოცის შეგირდისთვის ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ააგო.

სადგური შეგირდებისა ამ წლის თხუთმეტ აპრილისათვის გაიმართება. სადგურის მართველად დაინიშნა მასწავლებელი სკოლისა ევგენი კანდელაკი, რომლის მოქმედებას ყურადღას აქცევნებს მთელის სკოლის კრება.

რადგანაც ეს საქმე ახალი საქმეა და დასაწყისი ახალის საქმისა მძიმეა, ამისთვის თითო შეგირდის შესანახავად ჯერ ჯერობით დაინიშნა შვიდი მანეთი თთვეში. სკოლის მმართველობა ეცდება შემდეგში ეს ფასი შეამციროს.

შეგირდის დედ-მამამ, ან მზრუნველმა ნახევარის წლის ფული წინად უნდა გამოუგზავნოს სკოლის მმართველს თავ. ერმილ კაციას ძეს ნაკაშიძეს მცხეთის სადგურზე.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი (შეუძლიანთ ხუთი მანეთი შემოიტანონ საწოლის სასყიდლად), სამი ხელი საცვალი, ზეწრები და ლოგინი.

თითო შეგირდს დილა საღამოს მიეცემა: ზამთარში ერთი სტაქანი ჩაი, ზაფხულში ან ჩაი, ანუ რძე პურით; შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო რიგი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურვილი აქვს სადგურში მიაბაროს შეგირდი, იმან წინადვე უნდა აცნობოს წერილით სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ქ. ტფილისში და მცხეთის რკინის გზის სადგურზე.

*** 22 ამ თთვისას სენაკის მაზრის მცხოვრებელ ბესარიონ კვესალაძისათვის კამოდიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთი, სულ 310 მანეთისა. ბესარიონ კვესალაძეს ეჭვი აუღია თავისს ნათესავზე—სამსონ ჭილაიაზე. ჭილაია შეუპყრიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს, მეცხრე განყოფილებაში, სამსახურიდგან გადამდგარის ჯარის-კაცის ცოლს, ანტონინა სიტკოვსკაიას, თავის მოკვლა განუზრახავს და ამიტომ მარგიმუში, სულმა გაუხსნია წყალში და დაულევია. სიტკოვსკაია საავადმყოფოში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ამ დღეებში დიდუბის მინდორზე დასეირნობდნენ ცხენებით ქალი მ. ე. ქ—ძისა და ვიღაც კაცი, გვარად ნ. კ. ქალის ცხენმა წაიფორხილა, ქალი გადმოვარდა და ძრიელ დაშავდა. შეწუხებული ქალი ეტლით წაიყვანეს სახლში და ექიმი დაუყენეს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ერედვი (ლიახვის ხეობა): ისე არ წავიკითხეთ გაზეთი „ივერია“, რომ არ იწერებოდნენ სხვა-და-სხვა ამბებს თითქმის ყველა დაბა-სოფლიდამ და ამ ჩვენის სოფლის ხსენება-კი არასოდეს არა ყოფილა, თითქო ეს სოფელი გამოკლებული, გამოწირული და შერცხვენებული იყოს სხვა სოფლებ შორის. არც ჭირი, არც ლხინი აქაურობისა, თითქო ერედვი ყოველისფრით სრული იყოს, არა უნდოდესრა, არას სჩიოდეს, არა აწუხებდესრა. ორას კომლს კაცს არა ჰყავს გულ-შემატკივარი, არ არის კაცი, რომ გული შესტკიოდეს იმათის ავკარგიანობისათვის. ორას კომლს გლეხს გარდა, აქ სცხოვრობს ათი კომლი თავადიშვილიც და მით უფრო სამწუხაროა ეს გარემოება, რომ ათ კომლ თავადიშვილში ერთს არ უნდა ხმა ამოიღოს და თავისის სოფლის სასიკეთოდ ან ავი სთქვას, ან კარგი. ნუ თუ ყოველივე ესე იმის ნიშანი არ არის, რომ აქაურებს ჯერ კიდევ არა სტკივათ გული არც თავის სოფლისა და არც თავის ქვეყნისათვის, მისცემიან უზრუნველობას, გულგრილობასა და დარდი არაფრისა აქვთ. ამოდენა სოფელს არც სამრევლო და არც საერო სკოლა არა აქვს, წერა-კითხვის მცოდნენი თითქმის სრულიად არ მოიპოვებიან გლეხკაცობაში, წიგნის კითხვა წესად არ არის და ხალისი ცოდნისა და სწავლისა სრულიად დახშულია თითქმის არა თუ გლეხობაში, თავადიშვილებშიაც-კი. აი ასეთს სიბნელეში ვართ, ასეთს წყვდიადში ვსცხოვრებთ და ჩვენთვის არავინ არ არის, რომ კეთილი სთქვას და კეთილი საქმე გვაკისრებინოს. ეს ერთი ჩვენი უბედურება. მეორე უბედურება ის არის, რომ ზაფხულში უწყლობა გვანელებს. აქ სულ წყაროებია, მაგრამ, რადგან წყაროები თავ-მოყრილი არ არის, ზაფხულობით შრება და ან ისე ცოტა წყალი დარჩება, რომ ვენახბოსტნების რწყვაზე ერთი ჩხუბი და დავიდარაბა გვაქვს: ტრიალებს ულმერთოდ კეტი, ხანჯალი, და დაჯობნილი მუდამ ისა რჩება, ვინც კუტია და ულონო. ზოგს ათის წლობით არ მოურწყავს თავისი ვენახი და აბა რაღა ხეირი უნდა დაჰყროდა ამ ხნის განმავლობაში. საქმეს კი ადვილად ეშველებოდა. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე თუმანი მოგროვდეს, მოწვეულ იქმნას მცოდნე კაცი და მიგნოს: მოუყაროს ერთად თავი წყაროებს, რომ ერთი წვეთი წყალი აღარ იკარგებოდეს. ამას შემდევ უნდა აირჩიონ რამდენიმე კაცი და ზაფხულობით იმათ გააჩინონ რიგი, ვინ რა დღესა რწყას თავისი მამულები.

---

რული მოიპოვა და სამთავროსაც დიდი ადგილები შეჰმატა. შვილმა მამას აჯობა და ბექა I-ს მთელს საქართველოში სწორი და ტოლი არა ჰყავდა. იგი შესანიშნავია როგორც სარდალი და გამჭრიახე სახელმწიფო კაცი. დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე ამ საკვირველს კაცს, მან სძლია და შემუსრა საშინელი მტერი, რომელიც ჰლამიდა საქართველოს აოხრებას. მეცამეტე საუკუნის დამლევს აზატ-მოსე, ანუ, ზოგსის აზრით, მუსა-ხანი[37]) სამოცდა-ათის ათასის თურქით შემოესია ტაოს-კლარჯეთსა და აპირებდა ქართველობა აღეგავა მიწის ზურგიდგან. მხნე და მტკიცე ბექა წინ დაუდგა მძლავრსა და მძვინვარე მტერს, რამდენჯერმე დაამარცხა იგი და ბოლოს სრულიად განდევნა თავის სამთავროდამ. სამცხის მთავარმა ბაიბურთამდე გასწია თავის სამფლობელოს საზღვრები. ყველა თავს იხრიდა ბექას წინაშე, ყველა მეზობელს შიშითა და კრძალვით მიჰქონდა ხარჯი მანდატურთ-უხუცესის სალაროში. ბექაც განდიდდა, მაღლა და ამაყად ეჭირა თავი, არწივებრ მაღლიდამ დასცქეროდა მარტო ქართლის მეფეს კი არა, თვით ყაენსაც-კი. საყურადღებოა, რომ თვით საქართველოს ბატონის ბრძანებაც-კი ხშირად არაფრად მიაჩნდა ამ ბედნიერს მთავარს და ეს მაშინ, როცა ქართლ-იმერეთის მეფენი და დიდებულნი მარტო ყაენს-და შესცქეროდნენ თვალ-წარბში!.. იმ შავსა და ბნელს დროს მხოლოდ სამცხეში შეეძლო კაცს სულითა და გულით აღფრთოვანებული ყო; მხოლოდ იქ მოიპოვებოდა თავისუფლება, ერის თავ-მოყვარეობა, და ყველა ეს ხომ ასე საჭიროა სახელმწიფო მოღვაწის საწვრთნელად, საჭიროდ... ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბედმა და იღბალმა დიდბუნებოვანი ყრმა თითქო განგებ ამ სამთავროში შეაფარა, — ლაღსა და თავმომწონე ქვეყანას იმყოფებოდე და თავისუფლების ძუძუთი იზრდებოდე... მართლაც-და, ყველაფერი, რასაც-კი ყრმის გონება და თვალი მისწვდება, ხელს უწყობდა მომავალს მეფეს, სამშობლოს პატივი და დიდება ღრმად ჩაენერგა გულში, მძიმე სახელმწიფო სკიპტრა ღირსეულად ხელთ დაეპყრა... გარშემო აყვავებული და თავისუფალი სამთავრო, თვალწინ კიდევ პაპას სახელოვანი ცხოვრება, თითონ სახლში კიდევ სამაგალითო ოჯახობა—განა ყველა ეს საუკეთო სკოლა არ არის?!.

კერძო ცხოვრებაშიაც ბექა ხასიათითა და თვისებით აღემატებოდა ყველა თანამედროვე მთავარს, მრავალ გვარ ღირსებით იყო სრული და აღსავსე, — „კაცი წარმატებული ყოველსა შინა, სიკეთე აღმატებული სალთო საკაცობოთა საქმეთა“... იმ დროს აღზრდა და განათლება თხოულობდა, დიდის ოჯახის შვილი ყოფილიყო ნამდვილი ქრისტიანე, სალმთოს მცოდნე და მერე მეომარი. სასულიერო-სამხედრო მიმართულება ჰსუფევდა საოჯახო სკოლაში. და როგორ იყო აღზრდილი თვით ბექა?—იგი გულწრფელი ქრისტიანია, რომელიც წირვა-ლოცვას არ აკლდება, უყვარს ეკკლესიებისა და მონასტრების აგება, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა პატრონი და მფარველია... მაგრამ მარტო ეს ხომ არა კმაროდა. ბექამ ჯეროვანი სამხედრო სწავლაც მიიღო: „იგი ომსა შინა მხნედ მბრძოლია, ცხენსა ზედა მხნედ მოისარი, ნადირთა ხელოვანი“... დაუმატეთ ამას ისიც, რომ მანდატურთ-უხუცესს ძრიელ უყვარდა სჯული და სამართალი, „სამართლის მომქმედი“ იყო; არ დაივიწყოთ, რომ ეს სახელმწიფო კაცი გამჭრიახე და შორს-მჭვრეტელია, „გონებით ფრთხილია“ და თქვენ წარმოიდგენთ მკრთლად მაინც მთავრის დიადს სურათს[38]). უნდა გახსოვდეთ აგრეთვე, რომ ამ ღირსეულს მთავარს ღირსეული ცოლიც აგვირგვინებდა, — ბექას მეუღლე ვახახი სამაგალითო და შესანიშნავი დედაკაცია... ასეთი პაპა და ბებია დასტრიალებდნენ თავს სახელოვანს ყრმას და ასეთს ოჯახში იზრდებოდა. არ ვიცით როგორი დედაკაცია ნათელა, რა ზნისა და ხასიათისაა, მაგრამ ეს არც საჭიროა, რადგანაც იმისი შვილი გიორგი პაპასა და ბებიას ხელში უფრო იზრდებოდა...

რასაკვირველია, სხვა საბუთების უქონლობის გამო, მარტო ისტორიულს სინტეზს ვერ ვენდობით და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რა სწავლა და მიმართულება შეიძინა გიორგიმ პაპის სახლში. მაგრამ ის-კი უტყუარია, რომ მას ბევრი თვისება და ხასიათი გამოჰყვა თავისის პაპისა. აბა კარგად ჩაუკვირდით მეფის სულსა და გულს, თუ დიდი მსგავსება არა ჰპოვოთ: მეფეც ღვთის-მოსავი და ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, „ომსა შინა მხნედ ბრძოლია“, „გონებითა ფრთხილი“, „სამართლის მომქმედი“ და სხ. ეს „სამართლის მომქმედობა“ ხომ ბექას ოჯახის საკუთრება შეიქმნა. ამ ოჯახში განუწყვეტლივ არსებობდა სჯულისა და კანონის სიყვარული, იგი ოჯახი თითქო იურიდიულ სკოლად გარდაიქცაო... შემდეგ, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ბექა მეორემ და აღბუღამ მთელი სამართლის წიგნი დაუტოვეს სამშობლოს. გიორგი მეფესაც „სამართლის მოქმედება“ დასჩემდა და, ვინ იცის, იქნება „ძეგლის დების“ ავტორი პაპის სახლშიაც სწავლობდა კანონ-მდებლობას... დიაღ, ბევრი რამე საერთო მოიპოვება ბექასა და გიორგი ბრწყინვალეს შორის!..

## VIII

ვინ იცის, საკმაოდ და ჯეროვნად გაწვრთნილი იყო თუ არა ბექას შეგირდი სახელმწიფო სამსახურისათვის, მაგრამ გარემოებამ ძლიერ მალე-კი გამოიყვანა იგი ასპარეზზედ: სულ ცამეტ-თოთხმეტის წლისა ძლივს იქნებოდა, როცა 1299 წ. ყაენმა მეფობა მიანიჭა გიორგის[39]). ცელქმა ბედის-წერამ პაწაწინა მეფეს სახელმწიფოც პაწია არგუნა წილად, — ყაზან ყაენმა ყრმა გიორგის სამეფოდ მარტო ერთი სატახტო ქალაქი ტფილისი მისცა და სხვა არაფერი... საჭიროა ვიცოდეთ, რა გარემოებამ გამოიწვია ამ პაწია სამეფოს დაარსება. იმ დროს ქართლის მეფედ დავით მეექვსე ითვლებოდა, გიორგის უფროსი ძმა. დიაღ, საუბედურო იყო იგი დრო, მაგრამ გარემოებამაც თითქო განგებ და განზრახ მოუვლინა მრავალ ტანჯულს საქართველოს «კაცი ურწმუნო და უშიში ღვთისა», როგორც მეფე დავითია. მართლაც-და, მონგოლების დროს არც ერთს მეფეს იმოდენა ვნება და ტანჯვა არ მიუყენებია წამებულ სამშობლოსათვის, რამოდენაც მიაყენა უნიჭო და უხასიათო დავითმა. სამწუხარო კიდევ ისაა, რომ მეფეს მარჯვე დრო ჰქონდა, გარემოება მეტად ხელს უწყობდა ვაება და მწუხარება აეცილებინა საქართველოსათვის, მაგრამ იმან უფრო გაუძლიერა. საქმე იმაშია, რომ ყაენები და ნოინები ერთმანეთის წინაამდეგ აიშალნენ, მათ შორის შუღლი ჩამოვარდა, ბრძოლა ასტყდა. ხვარასნის ყაენმა ყაზანმა საკუთარი დროშა ამართა, ხაყანის უფლება უარჰყო, ყარაყურუმს ზურგი შეაქცია და სხვა საყეენოებსაც მტრულად დაუწყო ცქერა. ყაზან ყაენი დავითს მეფეს

---

[37]) H. de la Géor. p. 626, n[3]. ქ.-ცხა, გვ. 437—440, სადაც ნაამბობია აზატ-მოსეს შემოსევა და მისი გაძევება სამცხე-კლარჯეთიდგან.

[38]) ქ.-ც-ბა, გვ. 412—413, 446.

[39]) Hist. de la G. p. 622 n[1].

ჩემის აზრით, ყოველივე ესე ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ აქაურებს, რომელთაც საზოგადოდ სოფლობრივ თავის დღეში არა გაუკეთებიათ-რა, ისე გაუძნელდებათ, რომ ასეთს საქმესაც ძალიან შორს დაიჭერენ. სკოლის საქმესაც ასე მოექცევიან, თორემ განა გასაჭირია ორასმა კომლმა გლეხმა და ათმა კომლმა თავადიშვილმა ოც-და-ათი და ორმოცი თუმანი გამოიღოს წელიწადში სკოლის შესანახავად? სრულიადაც არა. სურვილი იყოს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევა. კიდეც ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ სურვილიც არა გვაქვს კეთილის საქმისა. ის არის სამწუხარო, რომ ხალისი და გული არაფრისა გვაქვს, მეტადრე საზოგადო საქმისა, სწავლა ცოდნისა, წარმატებისა. წარმატება ჩვენ მხოლოდ მდიდრული ცხოვრება გვგონია, სწავლა-განათლება—მოდის აყოლა და კეთილი საქმე—გაძღომა და მხართეძოზედ წამოწოლა. ერთის სიტყვით, თუ ინატროს ვინმემ, ჩვენისთანა ხალხი უნდა ინატროს. მალე-კი მოესწრობა რასმე კეთილს ჩვენს ხელში ჩვენი ქვეყანა, რომლის შვილნი ისეთ დამცირებამდე მისულან, რომ წიგნი სძაგთ და კითხვა წიგნისა ხომ ტანჯვად მიაჩნიათ?..

## უცხოეთი

გერმანია. ბისმარკს სადილი ჰქონდა დეპუტატებისათვის. ეს სადილი საპარლამენტო სადილი იყო და 40-მდე დეპუტატი ჰყვანდა დაპატიჟებული. როცა ბისმარკს ეამბნა იმპერატორისათვის, რომ საპარლამენტო სადილი მაქვსო, იმპერატორს დიდის ხალისით დაეგდო ყური ბისმარკისათვის. ბისმარკს მოეხსენებინა, თუ ინებებთ, გთხოვთ თქვენც მეწვიოთო. იმპერატორი დათანხმებულიყო და სადილზედ ძალიან მხიარულად გაეტარებინა დრო, ელაპარაკნა დეპუტატებთან და ეთქვა სხვათა შორის, რომ აქამდე იმპერატორები გერმანიისა არ ესწრებოდნენ ამისთანა სადილებზე, მაგრამ მე მეტად გამჭვალული ვარ ეხლანდელის აზრებით, ახალის ფიქრებით და ამიტომ ვიღებ მონაწილეობას საზოგადო მოღვაწეთა ნადიმშიო. როცა სადილი გათავებულიყო, იმპერატორს ებრძანებინა ბისმარკისათვის: ნუ მომერიდებით, მოსწიეთ თქვენი ჩიბუხი, თორემ ეხლავე წავალო. სხვა დეპუტატები და იმპერატრიცა გასულიყვნენ პაპიროსის მოსაწევად დანიშნულს ოთახში. იქაც დიდის თავაზიანობით ემუსაიფა დეპუტატებს იმპერატორი. დეპუტატები აღტაცებაში მოსულიყვნენ იმპერატორის თავმდაბლობითა და ლაპარაკით.

— გერმანიის მთავრობას ახალი პროექტი შეუდგენია იმ კანონის სამაგიეროდ, რომელიც 1878 წლიდამ ჰმოქმედობს სოციალისტების წინააღმდეგ და რომელიც მხოლოდ დროებით იყო შეწყნარებული. ახლა უნდათ სამუდამო წესები და კანონები შემოიღონ და ამ სამუდამო კანონით სდევნონ ყოველივე მოძღვრება, ან ქადაგება დღევანდელის წეს-წყობილების საწინააღმდეგოდ მიმართული. აქამდე იქ, სადაც დროებითი კანონი მოქმედებდა, თემის უფროსს შეეძლო ადმინისტრატებურის წესით გაედევნა საეჭვო კაცი. ეს კანონი ეხლა უნდა მოისპოს და ამის სამაგიეროდ დაწესდეს, რომ ვისაც-კი ახალი კანონი გაამტყუნებს, განიდევნოს რამდენისამე წლით, საზოგადოებანი და ამხანაგობანი, ზემოხსენებულის აზრით დაარსებულნი, შეიძლება გაუქმდნენ; გაზეთები და ჟურნალები, თუ ბრალი დაედოთ, შეიძლება სამუდამოდ დაიკეტნონ. ამ ამბავმა ძალიან გააცხარა გაზეთები. არც ერთი დასი პარლამენტისა არ შეიწყნარებს მაგ კანონის პროექტსაო. მთავრობამაც კარგად იცის, რომ ეგ კანონი უარ-ყოფილ იქმნება და რისთვის იწუხებდა თავს მისის შედგენითაო. მაგ კანონით გამოდის, რომ დევნა უნდა დაეწყოს ყველას, ვისაც-კი თავისუფლად უნდა განსაჯოს თავისის ქვეყნის მდგომარეობა და ეგ ხომ წინააღმდეგია საკონსტიტუციო წეს-წყობილებისაო.

ავსტრი-უნგრია. პეშტში კიდევ არ შეწყვეტილა უწესოებანი. სტუდენტების მაგიერ ახლა მუშები და მდაბიო ხალხი ახდენს უწესოებას. მიზეზი-კი სულ ისევ ის ახალი სამხედრო კანონ-პროექტია, რომელიც მთელს ორს თვეს ჰქონდა უნგრიის პარლამენტს განსახილველად და ახლა უკვე შეიწყნარეს. 22 სხდომა მოანდომა ამ პროექტს პარლამენტმა. მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთები მეორე დღეს, ნიშნად გლოვისა, შავის არშიით დაიბეჭდა.

— უნგრიის ფინანსთა მინისტრი ბეროსსი შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება. იმპერატორსა და ტისას უნდათ, რომ ამ თანამდებობაზე მხნე და გულადი კაცი იყოს ამ ხანად და ამიტომ დაუნიშნავთ ბეროსსი. ზოგიერთი სხვა მინისტრებიც უნდა შეიცვალნენ, რათა მით უფრო გაძლიერონ ტისას სამინისტრო. ტისა ამ ბოლოს დროს ძალიან გამაგრდა, უმრავლესობა იმისკენ არის და აღარაფრისა ეფიქრება. იმპერატორმა სთხოვა, რომ გაფრთხილდიო. ამიტომ, ეტლით როცა დადის, უკან შეირაღებული და ცხენოსანი პოლიციელები მისდევენ მთავარ-მინისტრს.

## წვრილი ამბები

დასავლეთ სახელმწიფოებისათვის მეტად შესანიშნავი საქმეა მკვიდრთა სხვა ქვეყნებში გადასახლების ჩვეულება და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ იქ ამ საკითხის შესახებ უკვე მთელი ლიტერატურა არსებობს. ამ საგნის შესახებ სხვა-და-სხვა მწერალთა აზრი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთნი ამბობენ, რომ თუ მკვიდრნი სახლდებიან, ძალიან კარგი, რადგანაც ქვეყანას ჰშორდება უმაქნისი ხელები და მჭამელნი; მეორენი გაიძახიან, რომ ქვეყანა იღუპება ამ მკვიდრთა გადასახლებით, რადგან ყველაზედ მოღვაწე და ძალ-ღონით სავსე ხალხი აკლდებაო.

ამ ხალხთა გადასახლების შესახებ ამ ბოლოს დროს დაიბეჭდა წიგნაკი ბელგიის გამოჩენილის პოლიტიკო-ეკონომის ლუი ნავესი. ნავე ამბობს, რომ მკვიდრთა გადასახლება ინგლისისა და გერმანიისათვის სასარგებლოა, ხოლო ბელგიისათვის, არამც თუ უსარგებლო, მავნებელიც-კიო.

უმთავრესი საბუთი გადასახლების, ესე იგი, ემიგრაციის მომხრეთა ის არის, რომ მკვიდრთა სიბევრით ქვეყანას უჭირდება, უძლურდება სულსა ჰხუთავსო. ადგილი აღარა აქვსთ არც სახლების ასაშენებლად, არც საზრდოებელ სურსათის მოსაყვანად, მუშა იაფდება და არსებობისათვის ბრძოლა მწვავდებაო.

ბელგიაში, მაგალითებრ, ყოველ ოთხკუთხს კილომეტრზე 200 მკვიდრი მოდის და ამას გარდა მცხოვრებთა რიცხვი დღე-დღეზედ ჰმატულობს კიდეც. ნაანგარიშებია, რომ თუ ასე იმატა მკვიდრთა რიცხვმა, მომავალ საუკუნის ნახევარში 12 მილიონამდე მცხოვრები იქნება. ეს მოლოდინი აშინებს ყველას და იმის ფიქრში არიან, რომ ეს ამოდენა ხალხი 30,000 ოთხ-კუთხ კილომეტრზე როგორ უნდა დატიოს და როგორ უნდა ისაზრდოვოსო.

ეს შიში ტყუილიაო, ამბობს ლუი ნავე. ლონდონში ხუთ მილიონამდე მკვიდრი სცხოვრობს 316 ოთხ-კუთხ კილომეტრზედ და ამათში უმეტესობას მშვენიერი სადგომები აქვს. შეერთებულ სამეფო ქუჩებში პური არა ჰხვირობს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ლონდონის მკვიდრნი უფრო ბევრს პურსა და საუკეთესოს ჰხმარობენ, ვიდრე ინგლისისა და შოტლანდიის პროვინციების გლეხები. პურის მომყვანნი იმდენს პურს არა ჰხმარობენ, რამდენიც მოჰყავთ. ამ ნაწარმოებს ისინი იძენენ, რომელთაც ყიდვა შეუძლიანო.

აი დედა-აზრი საკითხისა. შეძლება უნდა იყოს იმისის ყიდვისა, რაც გვიჭირს. მკვიდრნი არასოდეს არ არიან შეპყრობილნი უადგილობითა და სიბევრით, თუ საჭირო სახმარებელი სურსათი საკმაოდ მოჰყავთ და რაც ერთთ აკლიათ, მეორენი შეამუშავებენ. ინგლისელები შიმშილით არ იხოცებიან, თუმცა იმათი მიწა-წყალი მესამედსაც არ იძლევა იმდენს პურისას, რამდენიც საჭიროა ბრიტანიის კუნძულებზე დასახლებულ 35 მილიონ მცხოვრებისათვის. ხოლო ისინი საკმაოდ მდიდარნი არიან, რომ საჭირო პური რუსეთსა და ამერიკაში იყიდონო.

## დეპეშა

22 მარტი

პარიჟი. ბულანჟე სწერს, რომ მხოლოდ ჩვეულებრივს სამსჯავროს აქვს ნება განმასამართლოსო. სენატის უფლებას უარ-ჰყოფს. მთავრობის

---

მორჩილებას სთხოვდა და სხვა არაფერს,—არა ერთხელ და ორჯელ შეუთვალა, მორჩილება მიჩვენე და მერე მე ვიციო... ცოტად მაინც გაგებული და გამჭრიახი მეფე, უეჭველია, ორში ერთს იზავდა: ან იახლებოდა ძლიერს ყაენს, თუ არა-და, მტრობას მაინც არ გაუწევდა. სულ სხვაფრივ მოიქცა დავითი: ჯერ ერთი ესა, რომ დიმიტრი თავდადებულის შვილი შიშისაგან ცახცახებდა, როცა ურდოში წასვლას გაუცხადებდნენ—მამასავით მეც არ მომკლანო... მაგრამ ამას ვინ-ღა სჩივის, სავალალო ისაა, რომ მშიშარა მეფე თავისის ლაშქრით მთიულეთში დაიმალა და იქიდამ ჩრდილოეთის ყაენს ოთახას მოციქულებს უგზავნიდა და აქეზებდა დარიალას გაგიღებ, ოღონდაც ყაზან ყაენზედ გამოილაშქრეო... რასაკვირველია, ყაზანს ესა სწყინდა, მაგრამ პირველ ხანს თითქო ებრალებოდა საცოდავი მეფე,—ყველაფერს გაპატიებ, მხოლოდ მორჩილი იყავიო. მაგრამ დავითი არ დასცხრა. ბოლოს ყაზან ყაენიც მოთმინებიდგან გამოვიდა, განრისხდა და დიდის ლაშქრით გამოგზავნა საქართველოში თავისი სახელოვანი მხედართ-მთავარი ხუტლუშა. პირველსავე შემოსევაზედ ხუტლუშამ საშინლად აოხრა შიდა ქართლი და მთიულეთის ნაპირა ადგილები. დავით, რასაკვირველია, შიშისაგან ველად ვერ გამოვიდა, ქსნის ხეობის თავში მიიმალა და თავისებურად ცოდვილობდა, ვითომ საქმეს რასმე ვარიგებო: ჯერ გამარჯვებულს ხუტლუშას ათათბირებდა ყაენს ვიახლებიო და მერე კიდევ ოთახასთან მოციქულების გზავნას არიშლიდა. ძალა-უნებურად გეცინება და სწუხარ კიდეც, როცა თვალს ადევნებ ამ გზაკვალ არეულის მეფის მოქმედებას...

„გონებით ფრთხილი“ ბექა სხვაფრივ მოიქცა. მას უხვად ჰქონდა მიმადლებული სახელმწიფო კაცის ნიჭი და მაშინვე მიხვდა, თუ რა სახეირო და საკეთილო იქმნებოდა სამშობლოსათვის ყაენების არევ-დარევა, ერთმანეთის შორის მტრობა და შუღლი. იმან პირველადვე მეგობრული ხელი გაუწვდინა ყაზანს, სათნოიანად განეწყო და მხარი მისცა. მართალია, ბექაც, როგორც საქართველოს სხვა მთავარ ერისთავნი, ყაენს ემორჩილებოდა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, მაგრამ იმ გაჭირებულ დროს სამცხის ბატონს შეეძლო დიდი მტრობა გაეწია ყაზანისათვის, მაგრამ არ გაუწია,—ეს სავნებელი იქნებოდა მთლად საქართველოსათვის. ყაზან ყაენსაც ხათრი და პატივი ჰქონდა ბექასი. ამიტომაც, როცა დავითი თავისის ვიწრო ჭკუით «პოლიტიკოსობდა» ქსნის ვიწრო ხეობაში, ყაზანმა ბექას მოსთხოვა გიორგი გამომიგზავნეო. უეჭველია, რომ გაუგზავნეს. აი სწორედ მაშინ დაბძანდა სამეფო ტახტზედ გვირგვინოსანი ყრმა.

გიორგიმ იმ ჟამად მხოლოდ ორი წელიწადი იმეფა და ამ მოკლე ხანში სამშობლოს უბედურების მეტი არა უნახავს-რა. სახაბი ისევ დავითი იყო. იგი ურჩობასა და ყაენის ლალატზე ხელს არ იღებდა. ჯიბრით მონგოლებმა ორჯელ კიდევ დასწვეს და დასდაგეს უიმისოდაც დარბეული და აოხრებული ქართლი. სისხლის ნიაღვარი ერთოდა მღელვარე ქსანარაგვს. მართალია, ხუტლუშა დიდად შესცდა, როცა მთაში შევიდა და იქ ჰსურდა შეემუსრა დაუდეგარი მეფე, მართალია, ჩვენმა მთიულებმა დაამარცხეს თავხედი და უშიშარი ნოინი, მაგრამ უფრო ცუდი, რომ ძლეული ხუტლუშა გულის ჯავრს ქართლზედ იყრიდა. საშინელი ტანჯვა და ვაება დაადგა ქართლს. ვინც მოჰკლეს და გადასწვეს, ხომ კარგი—და ვინ არ მოჰკლეს იმ შავსა და ბნელს დროს? —უბედურება კიდევ ის იყო, რომ აუარებელი ტყვე წაიყვანეს. გვირგვინოსანი ყრმა თავის თვალით ჰხედავდა სამშობლოს ასეთს ყოფას და, ვინ იცის, რა მწარე აზრი უშფოთებდა სულსა, რა სევდა და ნაღველი უსიებდა ნორჩს გულს!..

ყაენს ვინც ეპრიანებოდა, მეფობაც ხომ იმისი იყო. ამიტომ დავითის ძმა ვახტანგ ურდოში ეახლა ყაზანს, სალამი მიართვა, მუხლ-მოდრეკით ერთგულება განუცხადა და ამაზედ მეტი ხომ საჭირო არა იყო-რა: ტახტი და მეფობა ვახტანგ მესამეს დაულოცეს. ყრმა მეფემ სრულ-წლოვანს მეფეს დაუთმო ადგილი. გიორგი პაპასთან წავიდა. იგი ისევ ბექას სახლშია, ისევ ლაღსა და ბედნიერს სამცხეში იმყოფება, მაგრამ რას აკეთებს, რას ჰფიქრობს, რას აპირებს?.. ყველაფერ ამაზედ აღარა ისმის-რა.., ეს ბნელის წყვდიადით მოცული დრო ეგრედ წოდებულის სამ მეფობის დროა. მაგრამ ვახტანგი მალე მოკვდა, მუცელამ თან გადიტანა—საკვირველია, რომ მონგოლების დროს ბევრი ჩვენი მეფე გადაჰყვა მუცელას—და ვახტანგის ადგილას დავითის შვილი დაჯდა. ყაენს უნდოდა დავითი დამცხრალიყო და ამიტომ იმის შვილს გიორგის მისცა მეფობა. გიორგი ჯერ ისევ ბავშვი იყო, აბა მეფობისა რა გაეგებოდა და ან როგორ გაუძღვებოდა ამ დიდს მოვალეობას. ამის გამო ბავშვს გიორგის ყრმა გიორგი მეფე დაუნიშნეს მზრდელად, «საქმის მოურავად»; ქვეყანა და სამეფო ორ გიორგის ჩააბარეს, ერთი მათგანი მეფედ ირიცხებოდა, მეორე „საქმის მოურავად“, მმართველად[40]. თქვენ უნებლიედ ღიმილი მოგდით, როცა ამ პოლიტიკურს მასხარობას უცქერით, მაგრამ ჩვენი რა ბრალია—მთლად მონგოლებისაგან დაარსებული სახელმწიფო წეს-წყობილება სასაცილო იყო და სხვა არაფერი. აქ საჭიროება მარტო იმას თხოულობდა, რომ მალე მაინც გათავებულიყო ეს პოლიტიკური ფარსი. გათავდა კიდეც.

მალე ულჯათ ყაენს (მაშინ ყაზან ყაენი ცოცხალი აღარ იყო) ლაშქრობა დასჭირდა. ულჯათს მხედართა მთავრად ჩოფან ნოინი ჰყავდა და ეს ჩოფანი კიდევ დიდი მოწყალე და მფარველი იყო გიორგი ბრწყინვალისა. ყაენმა ჩოფანი მცირე აზიაში გაგზავნა, სხვათა შორის, დიდის ქალაქის იკონიის დასამშვიდებლად, რომელიც ულჯათს განუდგა[41]. ნოინს, რასაკვირველია, ქართველებიც გააყოლეს სალაშქროდ და გიორგი ბრწყინვალე თან გაატანეს. გიორგი მაშინ ახლად შეღერებული ვაჟკაცი იყო, ოცის წლისაზედ ცოტა მეტი. ბექას სკოლაში გაწვრთვნილმა გიორგიმ მალე ისახელა თავი ბრძოლის ველზედ, მალე გამოიჩინა სამხედრო ნიჭი,—„მხნედ ბრძოლად გამოჩნდეს მეფე გიორგი“, ამბობს მატიანე. იქ, იკონიის გარემოს, პირველად სისხლით ცხებულ იქმნა ეს საკვირველი მეომარი და იმ დროიდამ მისი დაუღალავი მკლავი სულ მახვილს სცემდა გარეულსა და შინაურს მტერს. ულჯათიც მალე მოკვდა და მცირე წლოვანი მემკვიდრე, სახელად მუსაითი, დასტოვა. საყეენოს გამგეობა მთლად ჩოფანმა ხელთ იგდო, რადგანაც ჯერ ისევ ბავშვს მუსაითს ყეენობისა არა გაეგებოდა-რა. ეხლა-კი გიორგისაც ბედმა გაუღიმა. ის მაშინვე ურდოში წავიდა და მოწყალე ჩოფანმა დიდის წყალობით მიიღო,—„მოსცა ყოველი საქართველო“. ეს ამბავი მოხდა 1318 წ. და ამ დროიდამ მეფესაც მეფური პატივი და დიდება დაეტყო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[40] ეს მოხდა 1308 წ. დავითის შვილი გიორგი წოდებულია გიორგი მ ც ი რ ე დ, ეგრეთვე გიორგი VI. სახელი მეფისა მან ათი წელიწადი ატარა. ბროსსეს ვარაუდით, იგი უნდა დაბადებულიყო 1308 წ., ე. ი. იმავე წელს, რა წელსაც მეფობა უბოძეს. გიორგი ბრწყინვალე-კი იმ დროს 18 წლისა იყო. იგი დაიბადა 1286 წ. Hist. de la G. p. 640, n⁶.

[41] ibid. p. 642, n². ეს მოხდა 1315 წ.

საქციელი უარ-ყოფაა თავისუფლებისა და რესპუბლიკელთა სამოქალაქო უფლებისაო. მე ბელგიაში ვიქმნები და იქ დავიცდი, ვიდრე საყოველთაო არჩევანებით დაწესდება ნამდვილი და პატიოსანი რესპუბლიკა საფრანგეთშიო.

**ბუდა-პეშტი.** წარმომადგენელთა პალატამ შეიწყნარა საკმაო დიდის ხმის უმეტესობით სამხედრო კანონ-პროექტი.

**ვაშინგტონი.** სენატმა გადასდო შემდეგის სესიისათვის განხილვა იმ პირობისა, რომელიც ამერიკის შტატებმა და რუსეთმა უნდა შეჰკრან, რომ თავ-თავისი დამნაშავენი აძლიონ ხოლმე ერთმანეთს.

### 23 მარტი

**ბუქარესტი.** სამინისტრო სამსახურიდამ გადადგა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭო ხვალ გადასწყვეტავს, საჭიროა თუ არა დაუყოვნებლივ წარედგინოს პალატას სარჩიელი, რომ სამართალში მიეცეს ბულანჟე.

**რომი.** იმ დეპეშებში, რომელიც იტალიის სხვა-და-სხვა ადგილიდამ მოდის, იწერებიან, რომ ნეგუსს ომი ჰქონდა მენელიკთან, შოას მეფესთან, დამარცხდა და გარდაიცვალა, რადგან ბრძოლაში დაიჭრაო.

**ბრიუსელი.** ბელგიის მთავრობა ფიქრშია, არ ემჯობინება, რომ აუკრძალოთ ბულანჟეს ყოფნა ბელგიის მიწა-წყალზეო. მთავრობა ამ ღონისძიებას მიჰმართავს, თუ ბულანჟემ აგიტაცია დაიწყოო.

პეტერბურგის 21 მარტი ბირჟა,

| | მყიდველნი. მან. კ. | | გამყიდველნი. მან. კ. | | გარიგდნენ. მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 148¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 269½ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 242 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

**24 დღე პარასკევი.** ღირსისა. ზაქარიასი და წმ. შორის მამისა არტემისა, თესალონიკელ ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. პალმერისა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—31. მთვარე 5 დღისაა.

**25 დღე შაბათი.** ხარება ყოვლად წმინდისა ღვთის-მშობლისა. კათოლ. ხარება. სომეხ. წმ. გრიგოლ განმანათლებელისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—32. მთვარე 6 დღისაა.

**26 დღე კვირა.** კრება ზეცისა მხედართა მთავრისა გაბრიელისა. კათოლ. წმ. ემანუილისა. მაჰმად. მე-7 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—33. მთვარე 7 დღისაა.

**27 დღე ორშაბათი.** წმ. დედისა მატრონა თესალონიკელისა. კათოლ. წმ. იოანესი. მაჰმად. მე-8 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—34. მთვარე 8 დღისაა.

---

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

---

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სოხუმით, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

მარიამ ანანოვის დედათა სასწავლებლის

სამზრუნველო საბჭო

## საჯარო ვაჭრო-ბით

სამის წლის ვადით

იჯარით აძლევს ამ 15 აპრილიდგან ანანოვის ქარვასლას, რომელიც იმყოფება სიონის ქუჩაზედ. ვაჭრობა დანიშნულია ამ აპრილის თთვის 30-სთვის, საღამოს 7 საათზედ, სასწავლებლის სამზრუნველოს გამგეობაში (4—1)

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ განიზრახა შეაგროვოს და დაბეჭდოს სახალხო **ზღაპრები** და **ლეგენდები**.

ამისათვის მიჰმართავს ყველას და უმორჩილესად სთხოვს, არ დაიშურონ და გამოუგზავნონ საზოგადოების გამგეობას ვისაც ამ გვარი რამ ნაწარმოები მოეპოვება, ან შემდეგში მოიპოვებს.

ამასთანავე გამგეობა საზოგადოებისა საჭიროდ ჰრაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ ვინც რაიმე ზღაპარს თუ ლეგენდას წარმოუდგენს საზოგადოებას, თითო ღირსეულ ზღაპარსა თუ ლეგენდაში მიიღებს არანაკლებ **ხუთის დაბეჭდილ წიგნისა**, სადაც კრება იქმნება ზღაპარ-ლეგენდებისა.

ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Дворян. Земел. Банка, №№ 120, და 121. Канцелярія Общества грамотности.

(10—6)

---

ბ-ნ მ. საბინინის წიგნი

## „საქართველოს სამოთხე“

ისყიდება ბაგრატიონის ქუჩაზე, სახლი № 16.

ფასი 10 მანეთი.

რაც ფული ამ წიგნის გასყიდვით მოგროვდება, საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს ახალის მონასტრის სასარგებლოდ იქნება გადადებული.

---

### უახლესი სურნელოვანი წყალი

**№ 4711**

**ნარგიზი**

შუშა ჰღირს 3 მან., 2 მან. და 1 მან. 50 კაპ.

თავისის მშვენიერისა და უხვის სურნელოვანებით ისეთისავე ყურადღების ღირსია, როგორც ეგოდენად ხმარებული სურნელოვანი წყალი

**№ 4711**

**ზამბახი.**

მწვანე ვარაყიანი დამღა აზის.

შუშა ჰღირს 3 მან., 2 მან. 40 კ., 1 მან. 65 კაპ. და 1 მან.

**№ 4711**

**VIOLETTES DE PARME**

შუშა ჰღირს 2 მან. 40 კ., 1 მ. 60 კაპ. და 1 მან 25 კაპ.

იგი თავისის სურნელოვანებით აღემატება დანარჩენ ყველა ამ გვარს წყალს.

ყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ

**№ 4711.**

(ფაბრიკის მარკა დამტკიცებულია მთავრობის მიერ და ყველა შუშაზეა).

ისყიდება რუსეთის ყველა დიდს საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში.

(4—3)

---

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წულუკიძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. სუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 4 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

**1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.**

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . . | 6 მ. — კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

---

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი **უცვლელად** არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი **შეცვლილი** და **შევსებულია** ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად** (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად** (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—**ცამეტ შაურად** (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—**სამ აბაზად** (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ **სამი შაური** უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

**Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.**

Доз. ценз. Тифлисъ 23-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე